ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

20 აგვისტო სამშაბათი 1991 წ. № 96 (11729)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა

საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მიხეილ გორბაჩოვის მიერ სსრკ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებით, სსრკ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან, სსრკ კონსტიტუციის შესაბამისად, შეუდგა სსრკ ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ცალკეულ ადგილებში, 6 თვის ვადით, 1991 წლის 19 აგვისტოს 04 საათიდან, მოსკოვის დროით. საგანგებო მდგომარეობის კონკრეტული რეგიონები მითითებული არ ყოფილა. შეიქმნა სსრკ-ში საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი.

ეს განცხადებები საქართველოს ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.

მივმართავთ საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ შექმნილი ვითარება, ერთიანი, შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

მოგიწოდებთ ყველას, ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება. დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმედია, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი;
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი;
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო.

სსრ კავშირის ვიცე-პრეზიდენტის

ბრძანებულება

იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს არ ძალუძს შეასრულოს სსრ კავშირის პრეზიდენტის მოვალეობანი, სსრ კავშირის კონსტიტუციის 127 (7) მუხლის საფუძველზე შევუდექი სსრ კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან.

სსრ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გ. ი. იანაევი

1991 წლის 18 აგვისტო.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით გაანთავისუფლდნენ:

თენგიზ სიგუა — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე;

მურმან ომანიძე — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან;

ოთარ ქვილითაია — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან;

გიორგი ხოშტარია — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან;

ანზორ თხილაიშვილი — ქალაქ ქობულეთის პრეფექტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნენ:

მურმან ომანიძე — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად;

ენვერ წულუკიძე — ქალაქ ქობულეთის პრეფექტად.

გუშინ, 19 აგვისტოს ვიზეიმეთ ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — მისი ნათლით შემოსვის დღესასწაული

დროებითი ღონისძიება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების გამოცემის რეგლამენტირების ღონისძიებათა საკითხი.

ქაღალდის რესურსების მწვავე დეფიციტსა და პოლიგრაფიული საწარმოების გადატვირთვასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების ტირაჟის, პერიოდულობისა და მოცულობის რეგლამენტირების მიზნით რესპუბლიკის მთავრობამ სთხოვა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოში საბეჭდი ქაღალდის მომარაგებისა და ჟურნალ-გაზეთების გამომშვები პოლიგრაფიული საწარმოების სიმძლავრეთა შესაბამისობაში მოყვანამდე გაითვალისწინონ აღნიშნული მდგომარეობა და უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, 10 აგვისტოდან დროებით ორჯერ შეამცირონ ყველა გაზეთის, მათ შორის საქალაქო და რაიონული გაზეთების ტირაჟი, ფორმატი ან პერიოდულობა. ეს არ შეეხება გაზეთებს „საქართველოს რესპუბლიკა“, „სვობოდნაია გრუზია“ და „თბილისი“ (მათი გამოსვლის პერიოდულობა განისაზღვრა შემდეგნაირად: „საქართველოს რესპუბლიკა“ და „სვობოდნაია გრუზია“ გამოვა კვირაში ხუთჯერ, „თბილისი“ — კვირაში ოთხჯერ). პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე უნდა განახევრდეს ჟურნალების ტირაჟი, მოცულობა ან პერიოდულობა.

ეს შეზღუდვა ვრცელდება კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პერიოდულ გამოცემებზეც.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ საქინფორმს, გამომცემლობა „სამშობლოს“, „სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკურ სააგენტოს დაევალა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაწიონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ზემოაღნიშნული დროებითი ღონისძიების შესახებ.

იმის გამო, რომ მკვეთრად გაიზარდა ქაღალდისა და სხვა პოლიგრაფიული მასალების ღირებულება და ჟურნალ-გაზეთების 1991 წლის ფასები მათ რეალურ ღირებულებაზე ბევრად ნაკლებია, — გამოცემათა მოცულობისა და პერიოდულობის შემცირების მიუხედავად, — ჟურნალ-გაზეთების საცალო და ხელმოწერის ფასები უცვლელი რჩება.

პოლიგრაფიული ბაზის გადატვირთვისა და ქაღალდის დეფიციტის გამო დროებით უნდა შეჩერდეს ახალი პერიოდული გამოცემების (მათ შორის ერთჯერადის) გამოშვება.

გამომცემლობა „სამშობლოს“ პოლიგრაფიული ბაზის გადატვირთვასთან დაკავშირებით, ჟურნალ-გაზეთების აწყობისა და ბეჭდვის მოსაწესრიგებლად საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტს, გამომცემლობა „სამშობლოს“, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად დაევალათ შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და, სტამბების სიმძლავრეთა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ერთობლივად განსაზღვრონ პერიოდულ გამოცემათა გამომცემლობა „სამშობლოს“ და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის პოლიგრაფიულ საწარმოებზე მიმაგრების ნუსხა. ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მიერ გამომცემლობა „სამშობლოსთან“ დადებული ხელშეკრულებები გადაისინჯება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის დამლევამდე უნდა გამოძებნოს ჟურნალ-გაზეთების გარკვეული ნაწილის დასტამბვის შესაძლებლობანი.

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ და გამომცემლობა „სამშობლომ“ უნდა მიიღონ ზომები 1991 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქაღალდის შემოსატანად, აგრეთვე 1992 წლისათვის საჭირო გაზეთის ქაღალდით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტს, გამომცემლობა „სამშობლოს“ რჩევა მიეცათ დააწესონ მკაცრი კონტროლი ქაღალდის შემოზიდვის, განაწილებისა და ხარჯვისადმი.

საქინფორმი

ეკონომიკა

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სტაბილიზაციის და ბიუჯეტის დაბალანსების ძირითადი მიმართულებანი

დღეისათვის სოციალისტური წყობილების დაშლა, მის ბოლო ეტაპზე იმყოფება, იგი ერთბაშად არ დაწყებულა და წარმოადგენს ხანგრძლივი და რთული წინააღმდეგობრივი პროცესების შედეგს. ეს წინააღმდეგობანი ეკონომიკაში იმით გამოიხატებოდა, რომ მოყოლებული 1956 წლიდან დღემდე სისტემაში წარმოებული პროდუქციის საშუალო ერთეულის წარმოების ფასი ყოველ მომდევნო წელს წინა წელთან შედარებით ძვირი ჯდებოდა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სოციალისტური ეკონომიკის აბსოლუტური ზრდის დაშეფარდებითი დაქვეითების ტენდენცია და როდესაც შეფარდებითი დაქვეითების დონე აბსოლუტური ზრდის დონეს გაუთანაბრდა, დაიწყო წინააღრიზისი პერიოდი, ზრდის შეჩერება, დაქვეითება და კრიზისი, რომელმაც მთელი სისტემა მოიცვა...

ზემოაღნიშნულზე იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება, რომ გამოვსახოთ იმ პროცესების კანონზომიერება, რომლებმაც შექმნეს დღევანდელი რეალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკის სტაბილიზაციის ნებისმიერი ნაბიჯი, თუნდაც ეფექტური, დაეყრდნობა შემთხვევით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცოდნას, დროებითი და სტიქიური იქნებოდა.

ამ რთულ ვითარებაში კი, ვინც არ ფლობს ეკონომიკურ ძალას, პირველ რიგში ბიუჯეტს, დაკარგავს პოლიტიკური ხელისუფლებასაც, გამომდინარე აქედან, აუცილებელია, დამუშავდეს ეკონომიკის სტაბილიზაციის და ბიუჯეტის დაბალანსების რეალისტური პროგრამა.

ვითარება კი დღეისათვის ასეთია:

ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო და უფრო მწვავდება, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი სისტემატიურად მცირდება, ხდება ეკონომიკის დაშლა და დაქუცმაცება.

ეკონომიკის „სტაბილიზაციის“ ზოგიერთი ღონისძიებანი, რომელსაც კრემლის მთავრობა მიმართავს, კიდევ უფრო ამწვავებენ მას, ამას შედეგად მოსდევს სპეკულაციის აყვავება, ეკონომიკური პარაზიტიზმი, ჩრდილოვანი ეკონომიკის აღზევება, იქმნება, უაღრესად სერიოზული ეკონომიკური საფრთხე.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა ფასების უკანონო ნახტომისებური მომატების შემდეგ, რაც მსოფლიო ისტორიაში საკუთარი ხალხის ძარცვის კლასიკურ და განუმეორებელ მაგალითს წარმოადგენს, მაგრამ მდგომარეობა ამაზეც ვერ იხსნა, მიზეზი ის გახლავთ, რომ ფასების მასშტაბის შეცვლისას არ მოხდა ფულის ერთეულის, მანეთის, ოქროს შემცველობის რევალვაცია, ანუ მისი ცვლილება იმავე ზომით, რა ზომითაც შეიცვალა დანარჩენი საქონლის ფასები. შედეგად კი ერთდროულად ერთი და იგივე ზომით გაიზარდა როგორც ბიუჯეტის შემოსავლები, ისე მისი ხარჯების, ამასთან ერთად ჭიდა წარმოების და ორგანიზაციების შემოსავლების შემცირება დაახლოებით სამჯერ, ამდენადვე გაიზარდა მათი ხარჯებიც ერთდროულად. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ თუ ფასების მომატებამდე სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 92 მილიარდს, დღეისათვის იგი შეადგენს 230 მილიარდს, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, წლის ბოლოსათვის დეფიციტი მიაღწევს 300-350 მილიარდს.

გარდა ამისა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავლების შემცირება სამჯერ და ასეთივე ოდენობით ხარჯების ზრდა გამოიწვევს წარმოების შემცირებას დაახლოებით 35-40 პროცენტით.

ფასების მომატებასთან დაკავშირებით უაღრესად რთული ვითარება შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში, ფასების თითქმის სამჯერ მომატების შედეგად იგივე მოცულობით უნდა გაზრდილიყო საქონელბრუნვის დონე, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. საქონელბრუნვის მაჩვენებლები, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციულ ვაჭრობაში თითქმის იგივე დარჩა, ფასები კი გაიზარდა, წარმოიშვა პარადოქსული. მდგომარეობა, თუ ფასების მომატება მოხდა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მიზნით, მაშინ იგივე ზომით რატომ არ გაიზარდა საქონელბრუნვის მაჩვენებლებიც. ცნობილია, რომ საქონელბრუნვის დონე განსაზღვრავს ფულის საკასო ბრუნვის დონეს, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს საბიუჯეტო და საბანკო შემოსავლების საფუძველს. თუ ავიღებთ ფასების მომატებამდე არსებულ საქონელბრუნვის მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ ისინი შეადგენენ შესაბამისად სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში დაახლოებით 3 და 2,2 მილიარდ მანეთს. ფასების მომატების შემდეგ მათი დონეები უნდა გაზრდილიყო მიახლოებით, ყველა შეღავათის გამოკლებით სახელმწიფო ვაჭრობაში 5,1 მილიარდამდე, კოოპერაციის სისტემაში 3,4 მილიარდამდე, სულ 8,5 მილიარდამდე,. აქედან ფულის საკასო ბრუნვა გამოდიოდა დაახლოებით 6 მილიარდი მანეთი, თუ ვიანგარიშებთ სხვა ბრუნვებსაც, რომლებიც საკასო მიმოქცევის დონის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ ან უნდა მონაწილეობდნენ, მივიღებთ საკმაოდ შთამბეჭდავ ციფრს დაახლოებით — 8 მილიარდ მანეთს... ამ ფაქტმა გამოიწვია ბიუჯეტის შემოსავლების უდიდესი დესტაბილიზაცია და ზღვრამდე მისული ფინანსური დაძაბულობა.

ამ ფაქტის შედეგად შეიქმნა უდიდესი გარღვევა საკასო და საქონელბრუნვის ძველ დონეებსა და ფასების მომატების შედეგად მათ ახალ შესაძლო მაჩვენებლებს შორის, რაც იძლევა დიდ შესაძლებლობებს ფართო მასშტაბის აღურიცხავი ფულის საკასო და საქონელბრუნვის ფორმირებებისათვის საზოგადოებრივი შემოსავლების ხარჯზე.

საერთოდ კი საქონელბრუნვის შესაძლო პერსპექტიული მაჩვენებლები ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის და გასაყიდ საქონელთა მასების ფასების ჯამს. მიზეზდება მოთხოვნის დონეების ცვალებადობის მიხედვით კი ყოველთვის მოხდება, ჭრხდება აგრეთვე საქონელბრუნვის საერთო მაჩვენებლების კორექტირება.

ჩვენს მიერ წამოყენებული ზემოაღნიშნული პოზიციებიდან საკასო და საქონელბრუნვის მაჩვენებლებში ცვლილებების შეტანა დაახლოებით 20-30 პროცენტით შეამცირებდა ფაქტიურ საბიუჯეტო დეფიციტს. ამასთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი საქონელმიმოქცევის ნატურალური და ფულადი აღრიცხვა და მათი შესაბამისობა რეალიზებულ საქონელთა ფასებთან.

საკასოდ ეემის შესრულებისა და საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაზე უდიდეს უარყოფით გავლენას ახდენს საქონლის სახელმწიფო სავალუტო შესყიდვის ან გაცვლითი ოპერაციების შედეგად რესპუბლიკაში შემოტანილი საქონელთა მასების გასაყიდად გადაცემა არა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის ზემაღალ ფასებში გასაყიდად, საიდანაც ბიუჯეტს არაფერი სარგებლობა არ აქვს, პირიქით, ხორციელდება სახელმწიფო საკასო ბრუნვაში მოსაქცევი მოსახლეობის მყიდველობითი ფონდების გადატანა სხვა მიმართულებით. ყოველივე ეს ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების სფეროში, ან მის სისტემასთან ადმინისტრაციული წესით შექმნილი სხვადასხვა კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების საშუალებით, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა იდეოლოგიზირებული ბიუროკრატიული ეკონომიკის სახეცვლილება, ამ მიმართულებით სათანადო რეორგანიზაციები სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე კანონიერების საფუძველზე, მნიშვნელოვანწილად გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების ბაზას. აღნიშნულის გარდა ინფლაციის შეჩერების და ეკონომიკის სტაბილიზაციის შესაძლებლობები უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივი წარმოების გაბერილი დანახარჯების სისტემაში, უნდა მოხდეს მისი ზედნადები ხარჯების ლიკვიდაცია, იმ ხარჯებისა, რომლებიც არცღირებულებას ქმნიან და არც მის შექმნას უწყობენ ხელს.

ერთდროულად უნდა მოხდეს სახელმწიფო-საბიუჯეტო შემოსავლების ახალი წყაროების გამოძებნა, მისი დაბალანსების მიზნით.

1) ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა: სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა დარგებში მმართველობითი ფენის „ელიტარული მომსახურების მთელ მარტო ერთი სახეობის—პერსონალური სამანქანო მომსახურების შემცირება საწარმოო აუცილებლობის დონეზე და მათი გამონთავისუფლების შედეგად სატაქსო პარკების შექმნა 100. მილიონ მანეთამდე ეფექტს მოგვცემდა.

2) ბიუჯეტური ხარჯების დაბალანსების საქმეში დიდ როლს შეასრულებდა შემოსავლების ახალი წყაროები, მაგალითად, ძებნის, მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს ხარჯების გადაკისრება დამნაშავეზე და სხვა.

3) ბიუჯეტური შემოსავლების შექმნაში გარკვეულ როლს შეასრულებდა ნებისმიერი ტიპის დასახლებაში, კომუნალურ საცხოვრებელ ბინებზე, ძირითადი საპროექტო მაჩვენებლების შეცვლით ყოველგვარ, დაშენება-მიშენებაზე, ერთჯერადი გამოსაღების დაწესება; ხოლო მიწის ფართობზე, რომელსაც დაშენება ან მიშენება განხორციელდა, მუდმივ საარენდო გადასახადის შემოღება, „მიწის ფასის“ — სახით.

4) მიზანშეწონილია მოხდეს კომუნალურ ბინებში, გაშოსყიდული ბინების, სავალდებულო საბელმწიფო დაზღვევა.

5) მნიშვნელოვანი რაოდენობის შემოსავლებს მოგვცემდა ბინების და ავტომანქანების სავალდებულო დაზღვევა მათ უსაფრთხოებაზე, სახსრების ნაწილი მოხმარდებოდა ამ სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

6) სახელმწიფოებრივი და საბიუჯეტო შემოსავლების უდიდესი წყარო გახდებოდა წარმოების, ვაჭრობის, მომსახურების და საწარმოო მოხმარების ქვოტირება, ლიმიტირება და ლიცენზირება როგორც საშინაო, ისე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის დროს, მათი ტარიფიკაციის საფუძველზე,

7) ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში უდიდეს როლს შეასრულებს აგროტექნიკური მომსახურების სადგურების შექმნა არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ბაზაზე, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, საზოგადებრივი, საიჯარო და კერძო მეურნეობების მექანიზაციით უზრუნველყოფის მიზნით. აგროტექნიკური სადგურების შექმნა საზოგადებრივ დანახარჯებს მიწათმოქმედებაში დაახლოებით 800 მილიონ მანეთამდე შეამცირებდა..

8) აუცილებელია საქართველოში დაფნის წარმოების გაფართოება. ცნობილია, რომ ჩვენთან დაფნის ფოთლის წარმოება შემცირდა 1961 წლიდან, იმ პერიოდიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირი დაფნას ყიდულობს იტალიაში და საბერძნეთში ვალუტაზე. ვალუტის დეფიციტის პირობებში საქართველოში დაფნის წარმოების გაფართოება შექმნიდა საბჭოთა ბაზრის დაპყრობის შესაძლებლობას ამ საქონელზე გაცვლითი ოპერაციების საფუძველზე.

9) მიზანშეწონილია რესპუბლიკაში აღდგეს ტუნგოს ზეთის წარმოება, რომელიც 60-იან წლებში შეწყდა. ცნობილია, რომ ტუნგოს ზეთს ხმარობენ რაკეტებისა და თვითმფრინავების ძრავებში. ამდენად მისი წარმოების აღდგენა შეიცავს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებლობას სავალუტო შემოსავლების შესაძლებლობებით.

10) ეკონომიკის სტაბილიზაციის მიმართულებით შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვა პოზიციებიც, რომელსაც საფუძვლად დაედება რესპუბლიკის ეკონომიკის არსებული სქემიდან და წარმოებრივი რეჟიმიდან გამოყვანა, რასაც საფუძველი ჩაეყარა 1955-1964 წ. წ. ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, რამაც ძირი გამოუთხარა და დღესაც უთხრის რესპუბლიკის განვითარების ეკონომიკურ პერსპექტივას.

11) ზემოაღნიშნულის გარდა, თანდათანობით უნდა დაიწყოს რესპუბლიკაში სავალუტო დაგროვებათა პირობების შექმნა, რაც შექმნიდა რესპუბლიკის ეროვნული ფულის შემოღების და მისი ერთეულის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ეს საქმე უნდა დაიწყოს ოქროს და სხვა ძვირფასეულობათა შემსყიდველი სახელმწიფო სამსახურების შექმნით.

12) რესპუბლიკის ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საქართველოს მწარმოებლების ისტორიული ტიპის აღდგენა, მარცვლეული კულტურების წარმოების და მეცხოველეობის უპირატესი განვითარებით, ბრინჯისა და ბამბის კულტურების წარმოების აღდგენით. ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებას და მის დაბალანსებას დიდად შეუწყობდა ხელს სახელმწიფო შემოსავლების ახალი სახეები, როგორიცაა:

13) მიწის დიფერენცირებული სარენტო გადასახადების შემოღება სახელმწიფო, კოოპერაციული, კერძო, შერეული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე კოოპერატივების, ასოციაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამხედრო ობიექტების და სხვათა მიმართ.

14) ქუჩების (ან ქუჩის) სამანქანო ან ფეხით მოსიარულეთა ნაწილის მთლიან ან ნაწილობრივ გადაკეტვაზე შესაბამისი გადასახადების დაწესება, დაკავებული თითოეული კვადრატული მეტრის მიხედვით.

15) საწარმოთა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ შემოსავლების დამალვაზე დიდი ჯარიმების დაწესება.

16) ქაღალდის ფულის ვალუტაზე გადახურდავების მაწყობი პრაქტიკის შეწყვეტა. საჭიროების მიხედვით ვალუტის (კონვენტირებული) ფულის ერთეულის სესხად გაცემა საწინდრით ძვირფასი ლითონების ან სხვა ფასეულობათა ქვეშ, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში მიღებული პრაქტიკის მიხედვით.

17) ცრუკომუნისტური რეჟიმის მიერ ლენინის იდეის მიხედვით. „სოციალიზმი არის ცივილიზებული კოოპერატორთა საზოგადოება“, შექმნილი კოოპერატივების მოქმედების შეჩერება. პარადოქსია, ისტორიამ ლენინი ჩამოდგა კვარცხლბეკიდან, მისი „ცივილიზირებული კოოპერატორები“ კი ამაყად დაამჯენენ.

კოოპერაცია არის ძველი ამხანაგობა, რომელსაც თავისი ისტორიული ფასი აქვს, — ოდესღაც [illegible] ეროვნულ კოოპერატივებთან. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ცენტრმა შექმნა, როგორც გარკვეული სოციალური ძალა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, სოციალური გარემოს გამწვავების და ეკონომიკის დესტაბილიზაციის მიზნით.

ამასთან საჭიროა სასწრაფოდ დამუშავდეს კანონი კოოპერაციის და კოოპერატივების შესახებ ამ დარგში მოწინავე ქვეყნებში მიღწეული გამოცდილების საფუძველზე.

18) გარდა ამისა, საჭიროა, მიღებულ იქნას კანონი საკომისიო ვაჭრობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საკომისიო ვაჭრობასთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ერთი დეტალი, გაეროს 1962 წლის № 261 რეზოლუციით აკრძალულია სურსათით საკომისიო ვაჭრობა, რაც ჩვენთან დარღვეულია. ამასთან ყველა ცივილიზირებულ ქვეყანაში დადგენილია, რომ ნებისმიერი საკომისიო წესით გაყიდული საქონლის ფასი არ უნდა აღემატებოდეს მასზე დადგენილ გასაცემ ფასებს, იგი მას უნდა ჩამორჩებოდეს.

კანონი საკომისიო ვაჭრობის შესაწებ უნდა ასახავდეს მსოფლიო დონეს ამ სფეროში. მანამდე კი უნდა მოხდეს ეგრეთწოდებული კომერციული საკომისიო ვაჭრობის შეჩერება.

ეკონომიკის სტაბილიზაციის და ბიუჯეტის დაბალანსების არსებით მომენტად მივვაჩნია, რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ეღერდეს ეს, ფასების შემცირება სამრეწველო საქონელზე, საქმე ის არის, რომ ზემაღალ ფასების შედეგად, ფერხდება საქონლის რეალიზაცია, კლებულობს საწარმოთა შემოსავლები, შემდეგ კი ეცემა ძირითად და საბრუნავ საშუალებათა წრებრუნვა, საწარმო კარგავს გადახდისუნარიანობას, ვეღარ იხდის ბიუჯეტში შემოსავლებს, ვერ იძლევა ხელფასებს, იკვეცება და შემდეგ წყდება მისი წარმოების დონე. ბიუჯეტი ამით მხოლოდ ზარალობს, მწვავდება სოციალური გარემო, რაც მთელი საზოგადოების მასშტაბით ბიუჯეტის შემოსავლების გაქრობას იწვევს. ზემოაღნიშნული მომენტების გარდა ბიუჯეტური ხარჯების სტაბილიზაციის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა გვარდიის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის, გვარდიის სისტემაში შეიქმნას სპეციალური მეურნეობები, სადაც წარმოება მოეწყობა შრომითი ბატალიონების საფუძველზე, ბიუჯეტის დაზოგილი სახსრები კი გამოყენებული იქნება შეიარაღებაზე.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აუცილებლად მიგვაჩნია, მიღებულ იქნეს კანონი ემბარგოს შესახებ, რაც პრეზიდენტს მიანიჭებს უფლებას შეაჩეროს ნაწილობრივ ან მთლიანად, რომელიმე საწარმოს, საკუთრების ფორმის მიუხედავად, საქმიანობა, რომელიმე საქონლის ან საქონელთა ჯგუფს გაყიდვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, დანიშნოს სანიტარული ინსპექცია და სხვა. ასეთი კანონი მოქმედებს აშშ-ში 1929 წლიდან და მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში 50-იან წლებიდან. ამასთან, მიზანშეწონილი იქნება შეიქმნას ეკონომიკური საამსახურების განყოფილება პრეზიდენტის აპარატში.

ეკონომიკის სტაბილიზაციის და ბიუჯეტის დაბალანსების მიზნით, შესაძლებელია სხვა წინადადებების წარმოდგენაც.

ზემოაღნიშნული დებულებების მიღების შემთხვევაში საჭიროა მათი განხორციელების სისტემის დამუშავება.

ბურამ უსტიაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

„სიკეთეს არ სჭირდება გასამრჯელო...“



— რეკლამა არ გვჭირდება, უფრო სწორად, სიკეთეს არ უხდება რეკლამა. ეს ყველა ადამიანში უნდა იყოს, თავისი წილი სიკეთე არავინ უნდა დაიშუროს — გვითხრა ჰოლანდიელმა მარია დე გრაფმა და ინტერვიუზეც ამიტომ შეიკავა თავი. ჩვენ კი გავიგეთ, რომ ქალბატონი მარია ტექსელიდანაა.

ურთიერთკავშირის, ახლობლობისა და კონტაქტების გაღრმავების მიზნით 1989 წელს შეიქმნა საქართველო-ჰოლანდიის ურთიერთობის ასოციაცია და მის პრეზიდენტად გრიგოლ გიორგანაშვილი აირჩიეს; ხოლო ჰოლანდიელთა მხრიდან „ტექსელ-გეორგიან კონტაქტის“ პრეზიდენტი სწორედ მარია დე გრაფი გახდა. პირველი დელეგაციებიც გაიცვალა. ახლახან კი ბრესტის სახლვარს ჰოლანდიიდან სატვირთო მანქანები მიადგა. — წინასწარ ვიყავით ინფორმირებულები, რომ „ტექსელ-გეორგიან კონტაქტი“ მიწისძვრით დაზარალებული რაიონებისთვის ჰუმანიტარულ დახმარებას გვთავაზობდა. — გვიფხრა გრიგოლ გიორგანაშვილმა. — ამიტომ ბრესტში დავხვდით ჩვენს ქველმოქმედ მეგობრებს. 7 აგვისტოს თბილისში 10 ტონა ტვირთი ჩამოვიტანეთ და ქალბატონი მარია დე გრაფიც თავად გვეწვია, რომელმაც სურვილი გამოთქვა თავად სწვეოდა ონს, ამბროლაურს, ჭიათურას, გორსა და ქაოულს, დაზარალებულებს თავისი ხელით გადასცა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საბნები, პლედები, 100 კილოგრამი სამკურნალო პრეპარატები პროფილის მიზედვით განაწილდა თბილისის საავადმყოფოებზე. და ეს ყველაფერი შეაგროვეს, ძირითადად ტექსელზე მცხოვრებლებმა, თუმცა რა თქმა უნდა, არც სხვა ჰოლანდიელებს უთქვამთ უარი ქველმოქმედებაზე. ტექსელზე მცხოვრებლები თავად მოდიოდნენ, მოჰქონდათ ყველაფერი, ვისაც რა შეეძლო, ბევრმა გარკვეული თანხაც გაიღო. სამსახურების შემდეგ რამდენიმე ღამე გაათენეს ბარგის შეფუთვასა და დახარისხებაში. საოცარი ერთსულოვნება იყო და კიდევ დიდი სურვილი ქართველ მეგობართა დახმარებისა.

ქალბატონი მარია დე გრაფი კი სრულიად უსასყიდლოდ სიკეთის, სითხეების მსახურია და ამაში არაფერს ხედავს. გახარცარს, პირიქით, ვალდებულადაც კი თვლის თავს, რომ აკეთოს მხოლოდ სიკეთე უგასამრჯელოდ და ამაზე არავინ ილაპარაკოს გაზვიადებულად.

ნინო კვაჭანტირაძე

სურათზე: ჰოლანდიელი ქველმოქმედები.

„სიკვლისადმი გრძნობა—პატივი“



ჩვენი დედაქალაქის ძველთაძველ უბანს — ერეკლე მეორის მოედანს, რომელიც რამდენიმე სახელით იყო ცნობილი, წარსულის მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლი შემორჩა.

წმინდა გიორგის ეს დარბაზული ტაძარი, რომლის აღმოსავლეთი ფასადი შავთელის ქუჩის უბანში გამოდის — სვიმონ მეფის კარის ეკლესიადაა ცნობილი. ვახტანგ მეექვსის ძმას სვიმონ ბატონიშვილს იგი 1710 წელს აუგია. აქვე მდგარა მისი სასახლეც, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. სვიმონ ბატონიშვილის სასახლარზე ამჟამად დგას თეკლე ბაგრატიონის სასახლე.

ტაძარს დასავლეთით ამოყვანილი სამრეკლოც ჰქონდა. ხუროთმოძღვრული ანსამბლი არაერთხელ ყოფილა გადაკეთებული.

სვიმონ მეფის კარის ეკლესიაზე ამჟამად მიმდინარეობს აღდგენა-დასუფთავების სამუშაოები.

ეკლესიის განახლებას სამთავეში უდგას საქართველოს მატერიალური რესურსების მომარაგების სამინისტრო. სამუშაოებს უშუალოდ ატარებს ამავე სამინისტროს მოძრავ-მექანიზირებული კოლონა.

ტაძრის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო ამა წლის მაისში. რესტავრაციის პროექტის ავტორია არქიტექტორი რევაზ ცხადაძე. სულ ახლახან რესტავრატორებმა დასრულეს ტაძრის სახურავი, იგი ძველებური ქართული კარ-მიტით გადაიხურა. ძველი, რუსეთის თვითმპყრობელობის დროინდელი უსახური გუმბათები სახურავს მოეხსნა. ეკლესიის დასავლეთის ფასადი ქართული აურითაა აღდგენილი. შეიცვალა ძველებური სახით კარ-ფანჯრების სტილიც. ამჟამად მიმდინარეობს დასავლეთის სამრეკლოს აღდგენის სამუშაოები, სამრეკლოს სიმაღლე 10 მეტრი იქნება. დასავლეთის ფასადს მიეშენება კარიბჭეც. სამრეკლოს მშენებლობა ჩვენი საპატრიარქოს მუდმივი ყურადღების ქვეშაა.

მშენებელ-რესტავრატორები სვიმონ მეფის კარის ეკლესიის აღდგენა-განახლების დამთავრებას ვარაუდობენ ოქტომბრის შიწურულისათვის.

თამაზ ქიქავა
ავტორის ფოტო.

ისტორია გადარჩა

მიწისძვრამ აუნაზღაურებელი ზარალი მოგვაყენა. მიწასთან ვასწორდა საქართველოს ულამაზესი კუთხეები — რაჭა და იმერეთი. დაინგრა უნიკალური ძეგლები — ნიკორწმინდა, მრავალძალი, ჯრუჭი, ბარაკონი...

პირველივე ბიძგებმა სეროიზულად დაგაზიანა რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც. საფრთხე შეექმნა იქ დაცულ ექსპონატებს, რომლებიც რაჭის წარსულისა და აწმყოს უნიკალური ნიმუშებია. მუზეუმში შესვლა და მათი გამრეცნა უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული. და რომ არა მუზეუმის დირექტორის გია ბერიშვილის გმირობის ტოლფასი ვაჟკაცობა, დღეს ბევრი ნიმუში ამ მუზეუმიდან დაიკარგებოდა.

— გვესაუბრება რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **გია ბერიშვილი.**

— მიწისძვრის მეორე დღესვე ინჟინერს ვეძებდი, გვაინტერესებდა, შეუძლებდა თუ არა შენობა მომდევნო ბიძგებს. საოცრად მენანებოდა მუზეუმის ექსპონატების დაკარგვა-განიავება. ყველაზე მეტად კი ძვირფასი არქეოლოგიური მასალა.

ონში შექმნილ სტიქიის სალიკვიდაციო შტაბს ჯერ ცოცხლებისათვის უნდა მიეხედა, ჩვენთვის ვერ მოიცლიდნენ. გვარდიელებს ვთხოვე დახმარება. ძვირფასი არქეოლოგიური მასალა სწორედ მათ გადაგვირჩინეს და დღესაც მილიციის განყოფილებაში ინახება ისინი. შემდეგ მაშველი რაზმებიც ჩამოვიდნენ. „ლემის“ ბიჭებმა; თეიმურაზ ჯაფარიძემ, გიორგი ლიპარტელიანმა, მიხეილ ფირცხალავამ, ბაჩი გოგუაძემ, შოთა საგანელიძემ დაკარგვას გადარჩინეს IX საუკუნის ფარაჯეთის ეკლესიის კარიბჭის, ბრილის, უწერის, სხეირის ეკლესიების მძიმე ქვები. ძვირფასეულობა: ოქრო, ვერცხლი, მხატვრული ტილოები ბანკში შევინახეთ. ძალიან მადლობელი ვარ ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა, რომლის დირექტორმა მიხეილ ნიკოლეიშვილმა იმდღესვე გამოგზავნა თანაგრძნობის დეპეშა, რასაც მალე მანქანები და მეცნიერ-მუშაკები მოაყოლა და ნივთების ნაწილი, ეთნოგრაფიული მასალა, უნიკალური წიგნების ფონდი ახლა ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება;

თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტა სული რომ მოვითქვით და თავი გადარჩენილად ჩავთვალეთ, კატეგორიაც მოგვიმატეს, ხელფასები გაგვეზარდა...

— **ამჟამად რას აკეთებთ, მოიცალეთ საკუთარი საჭლებისათვის?**

— საკუთარი საჭლებისათვის? რასაკვირველია, მაგრამ რაჭის თითქმის ყველა სოფელი დაინგრა, როგორც ძეგლები, ისე არქიტექტურა. დამერწმუნებით, რაჭა ისე ვეღარ აღსდგება. აღარ იქნება ის ლამაზაიგნიანი, მოჩუქურთმებული სახლები. ჰოდა, ნანგრევებში დავდივართ და ვეძებთ ნაშთებს ძველი ცხოვრებისას. სოფელი ჩორდი სულ დაინგრა. უკვე შეგაგროვეთ ქვები, რომ არ განადგურდეს. თითქმის ყველა სოფელში ვიყავ-ვდი. მაქსიმალურად ვცდილობთ არქეოლოგიური მასალა დავიცვათ, ონში თითქმის ყველა ბალავერის გაჭრას ვესწრები.

ონში გოცირიძეების ცნობილი სახლი, სადაც აკაკიმ გაათია ღამე, სავალალო დღეშია. მუზეუმი ფავის თავზე იღებს მის გადარჩენას.

— **გექნებათ მუზეუმის ბილი შენობა?**

— ძველი ვაჟთა საშუალო სკოლის ადგილზე უკვე შენდება მუზეუმი. კარგი ადგილია. პროექტიც შესანიშნავი (ავტორია არქიტექტორი — გივი მეტრეველი). მშენებლობას აწარმოებს საქართველოს „კავკავგვირაბმშენის“ სამმართველო (უფროსი ავთანდილ ჩალაძე). მუზეუმში გვექნება დიდი საექსპოზიციო დარბაზები, ფონდსაცავი, სეიფები, ფოტოკინო არქივი, საკონფერენციო, სარესტავრაციო, მეცნიერ-მუშაკთა ოთახები, ჯიხური სუვენირებისათვის.

რაჭა დაინგრა, მაგრამ გადარჩა წარსული. ნანგრევების ფონზე იგი უკეთეს მომავალს უპვრეტს.

ეხაუბრა
ციცო ჯაფარიძე

იმ დღეს ვნატრობ

დღეს, ხალხური ეკონომიკა გაჭირვებულია. მაგრამ ბევრს ფეხს. ეს გარდაუვალი, შეუქცევადი პროცესია და [illegible] შეგვიძლია მივაღწიოთ ეკონომიკის განმტკიცებას. საწარმოების ხელმძღვანელები ეძებენ იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებითაც. შედარებით უმტკივნეულოდ, აილებენ სწორ მიმართულებას მსოფლიო ბაზრისაკენ...

ერთ-ერთი ასეთი ხელმძღვანელია მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს“ დირექტორი ბატონი მამია თენეიშვილი. მან ადვილად აუღო ალღო ეკონომიკის ახლებურად წარმართვის აუცილებლობას და შედეგმაც მახვილი. საწარმოსათვის მოკლე დროში იჩინა თავი. ვარჩიეთ გავსაუბრებოდით თვით დირექტორს—

— რესპუბლიკა ეკონომიკურ ბლოკადაშია. ნედლეულის ჭირს. კომბინატი, როგორც ვხედავთ, მუშაობს... როგორ ახერხებთ?

— მართალია, ნედლეულით მომარაგება გართულებულია. ადრე, საკავშირო მთავრობა ცენტრალიზებული წესით გამოგვიყოფდა ხოლმე საბჭოურ და საზღვარგარეთულ ნედლეულს, ნატურალურ მატყლს, შტაპელს, ვისკოზას, ლავსანს — ახლა საკავშირო ფონდი ალარაფერს გვაძლევს, მაგრამ ჩვენ ამგვარ შემობრუნებას მომზადებულნი შეგხვდთ. უველა ზემოთხსენებული ნედლეულის მომწოდებელი კომბინატები და საწარმოები რუსეთშია განლაგებული, ჩვენ უშუალო კონტაქტები დავამყარეთ თითოეულ მათგანთან და სამართლე უნდა ითქვას, „ცენტრისაგან“ განსხვავებით არც ერთ რესპუბლიკას უარყოფითი ემოციები არ გამოუმუღავნებია და არ გალიზიანებულა ჩვენი დამოუკიდებლობით. პირიქით, თითქოს უფრო მეტი გულითადობით და გულისხმიერად მოგვეკიდნენ. აი, ცენტრის ბლოკადამ კი დიდი ზიანი მოგვაყენა — რესპუბლიკის საზღვრებთან მოსული ნედლეულით დატვირთული ვაგონები „ზევიდან“ მოსული განკარგულებით უკან გაბრუნეს. ახლა ვცდილობთ ნედლეული საბანქანო გზებით შემოვიზიდოთ. საწარმოს ნედლეულის არქონის მიზეზით არ გავაჩერებთ. შევძელით ისიც, თუ ადრე გამოშვებული პროდუქციის 70-80 პროცენტი რესპუბლიკის გარეთ გადიოდა და საქართველოს სავაჭრო ქსელში ჩვენი ქსოვილი საძებარი იყო, ახლა მხოლოდ 30 პროცენტამდე გადის.

— **რას გულისხმობთ საწარმოს დამოუკიდებლობაში და მისი განხორციელებისათვის რა გზები გეხახებათ?**

— ეს დღეისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხია. დამოუკიდებელი საწარმო — ეს მომავლის საწარმოა, სადაც, ჩემი აზრით, პირველ რიგში მშრომელთა კეთილდღეობა იქნება საფუძვლად ჩადებული და არა ყოვლად უმსგავსო გათანაბრების პრინციპი, რომელიც ერთ ხაზზე ასწორებს ნიჭიერსაც და უნიჭოსაც, ყოჩაღსაც და ზარმაცსაც.

ვფიქრობ, ჩვენმა არჩეულმა მთავრობამ პირველ რიგში საკუთრების ფორმების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. ეს არის ის ძირითადი ღერძი, რომლის გარშემოც ბრუნავს რესპუბლიკის მთელი ეკონომიკური პოტენციალი, რამაც უნდა დაამაღლევინოს კრიზისი და გაგვიყვანოს მოწინავე, განვითარებული ქვეყნების დონეზე. ძირითადად, დამოუკიდებლობის მოთხოვნა რამდენიმე პუნქტად არის ჩამოყალიბებული. მათ შორის უმთავრესია: ძირითად და საბრუნავ საშუალებებზე. კოლექტიური საკუთრების ფორმის დაშვება, გადმოგვეცეს უსასყიდლოდ სახელმწიფოს მიერ მითვისებული მიმდინარე წლისათვის. რიცხული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები და მოგვეცეს სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა საწარმოს დაპროგრამების, ფასწარმოქმნის (გარდა სახელმწიფო დაკვეთებისა) და მოგების განაწილების საკითხში. აი, ის სამი უმთავრესი ბერკეტი, რომლის ამოქმედებაც დღეისათვის აუცილებელი სასიცოცხლო საკითხია. ვოცხებობ იმ დღეზე, როცა იტყვიან, კომბინატ „საქართველოს“ გამოშვებულიაო.

— **ახეთ დიდ კოლექტივს, როგორიც თქვენი კომბინატია, ალბათ, სოციალური საკითხებიც აწუხებს. რას იტყოდით ხანუგეშს?**

— სოციალური საკითხები მართლ ჩვენ კი არა, დღეს მთელ საქართველოს აწუხებს. ჯერ წყალდიდობამ და დიდთოვლობამ გვაზარალა, ახლა ამ გამანადგურებელმა მიწისძვრამ მოგვითავა ხელი. მიუხედავად ჩვენი მშრომელების მწვავე პრობლემებისა, გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენიანებს მაინც დავეხმარეთ; 50 000 მანეთი გადავურიცხეთ, ორი 25-კაციანი მაშველი ბრიგადა გავაგზავნეთ, სურსათი და ფული თვითონ მშრომელებმა შეკრიბეს და ჩაიტანეს. სამაჩაბლოდან ლტოლვილებისათვის ლეიბები და საპალტოვე ქსოვილები გავეცით.

ახლა დროებით თბილისში ბინათმშენებლობა შეჩერდა. ჩვენს უბინაო ხალხს ძალიან უჭირს, ამიტომ შევიმუშავეთ დებულება და ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფთ დიდ თანხებს ვაძლევთ, რაც ბინების შესაძენად არის გათვალისწინებული. მიწის ნაკვეთები კე გვაქვს აღებული დიდ დიღომსა და დიდუბეში, მაგრამ მშენებლობების შეფერხებამ, ალბათ, გაურკვეველი ვადით გადადო ტერიტორიების განაშენიანება, ხალხს კი უჭირს და თანაც ხვნაში გარიგება სჯობსო, ხომ გაგიგია.

წელს მილიონ მანეთს გავანაწილებთ მშრომელებზე ბინების შესაძენად, შემდგომში კი, თუ მშვიდობა იქნება, ჩვენი კუთვნილი ტერიტორიის განაშენიანებასაც მივყოფთ ხელს.

— **ახლა ყველა საწარმო საზღვარგარეთთან ურთიერთობის დამყარებას ცდილობს. თქვენთან რა მდგომარეობაა?**

— იქმნება ერთობლივი საწარმოები, ხდება ბარტერული გაცვლები, ბევრმა დიდმა საწარმომ ვალუტის მოპოვება შეძლო და იმ ვალუტაზე შეძენილი ფართო მოხმარების უცხოური საქონლით მომარაგდნენ მშრომელები. მე პირადად, ვფიქრობ, ეს არც. მთლად სწორი გზაა და აი რატომ: თუ ჩვენ უცხოური საქონლით გადავტვირთავთ მომხმარებელს, საპირისპიროდ დავკარგავთ ახლის შექმნის, გაუმჯობესებული მოდელების დანერგვის სურვილს, პირიქით კი უნდა მოხდეს. უმჯობესია, შემოვიზიდოთ მაღალყოფიერი საწარმოო საშუალებები და საზღვარგარეთული სტანდარტების დონეზე ჩვენი, სამამულო შევქმნათ.

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენი საწარმოს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობას, ამჟამად საწყის ფაზაშია. ამიტომ კომბინატში შევქმენით უცხოელთან ურთიერთობის განყოფილება, რომელსაც ჩემი მოადგილე მიხეილ ბახტაძე ხელმძღვანელობს და, სამართლე გითხრათ, კარგადაც გაართვა თავი. უკვე გამოიკვეთა ზოგიერთ ქვეყანასთან ურთიერთობის კონტურები, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ ჩვენს ეკონომიკას სამომავლოდ სწორად წარვმართავთ.

ამჟამად სწორედ ამ განყოფილების საქმიანობის შედეგია ის, რომ ვემზადებით სავაჭრო პალატისა და „საქიმპექსის“ თაოსნობით თურქეთში მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი ქსოვილები, სასაქონლო ნართი, გობელენები და ფარდაგები უთუოდ დაიმსახურებს მოწონებას. ამის დიდი იმედი გვაქვს.

მართლაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომბინატს სწორი გზა აქვს აღებული, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

ეხაუბრა თამარ დემეტრაშვილი

გახსენება

ზაალ ქავთარია

ტრაგიკულად დაიღუპა ზაალ (ზაზა) ქავთარია. ერთი იმათთაგანი, ვისი მხრებითაც უნდა ალიზიდოს მომავალი, თავისუფალი, ლამაზი საქართველო. სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისა და კლინიკური ორდინატურის გავლის შემდეგ სულ მოკლე დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა მაღალი კვალიფიკაციის ექიმ-ენდოკრინოლოგად, რომელიც ყურადღებას იპყრობდა ღრმა კლინიკური აზროვნებითა და პროფესიონალიზმით. იგი უდავოდ დიდი პერსპექტივის ექიმი და მეცნიერი დადგებოდა, რომ დასცლოდა.

ზაზა ქავთარია იყო მრავალთაგან გამორჩეული ახალგაზრდა, მასში თავი მოეყარა ყველა იმ საუკეთესო თვისებებს, რაც ადამიანობას გვაყვარებს. ზრდილი, მაღალი კულტურისა და ნიჭის, უაღრესად ყურადღებიანი და თბილი, მოყვარული თავისი ერისა და სამშობლოსი, სიკეთის ქმნაში დაუზოგავი ახალგაზრდა. ამიტომ იყო, რომ მისთვის ყოველთვის ღია იყო ადამიანთა გულები, მათ შორის ავადმყოფებისა, რომელთა ხარეცელთან არაერთი უძილო ღამე გაუთენებია, ბევრჯერ უხსნია სიკვდილისაგან, მისი გადარჩენა კი ვერ მოხერხდა...

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო, სასახელო და საამაყო ზაზა. 24 აგვისტოს უნდა აღგვენიშნა შენი დაბადების 29 წელი, უნდა გვენახა შენი მომხიბლავი ღიმილი... ვაი, რომ ბედისწერის ბორბალი სულ სხვანაირად დატრიალდა, ცხოვრების მზიანი დილა მუდმივი ღამით შეგეცვალა...

შენი მეგობრების, ახლობლების, შენი კაიკაცობით ანთებული მადლიერი გულები თბილად და სათუთად შეინახავენ შენს ნათელ სახეს.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ენდოკრინოლოგის კათედრა.

ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური / ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიისა და ნივთიერებათა ცვლის მოუვლის განყოფილება.

რეზო ურიდია

ძნელია შენს შესახებ წარსულში წერა. 22 აგვისტო შენი დაბადების დღეა და ჩვენ... შენს საფლავზე მოვალთ, როგორი ტკივილით უნდა გავიხსენოთ ის ლამაზი დღეები, ერთად რომ გაგვიტარებია ოთხივეს, რა ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ, რომ გორ მოგვაკლდა შენი ღიმილი, სითბო, სიკეთე და სიყვარული, იმედიანი სიტყვა და თანადგომა.

უკულმართმა ბედისწერამ გაგწირა. საქართველოსათვის გულანთებული შენს საქართველოს შეუწირე, რათა არ დაგეთმო სამაჩაბლო მტრებისათვის. გჯეროდეს, მალე დადგება თავისუფლების გაზაფხული ჩვენს სამშობლოში, რომელშიც შენი [illegible] და მაი [illegible] შენი [illegible] ჩვენო ტკბილიანო სიყვარულო.

სოფიკო, მაკა და ლია ურიდიები.

რატი წულეისკირი

უკვე ხუთი წელია, რაც გვენატრები... გვენატრები, მაგრამ შენი აჩრდილი არც ერთი მხრიდან არ ჩანს.... შენ ხომ სამუდამოდ წახვედი ჩვენგან საყვარელო, თბილო და ალერსიანო ბიჭო, რატი წულეისკირო. ზღვის ბობოქარ ტალღებს აჩუქე შენი სიცოცხლე, წლები გავიდა... თუ სამნი მაინც ერთად შევიყრებით, ჩვენ ისევ [illegible] ზღვის ნაპირს მივაკითხავთ, სადაც შენ გვეგულები.

ღმერთმა ჩვენც დაგვაზრდევინოს შენისთანა ვაჟკაცები, რატი, თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფლად, ეს სიკვდილია. ჩვენ ეს ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ შენი სიკვდილის მოვლინება ეს ჩვენთვის მოულოდნელი და თავზარდამცემი ტრაგედია იყო. ალბათ, იმიტომ, რომ ადამიანს გონებასთან ერთად აქვს გულიც, რომელიც ვერ ეგუება სიკვდილის სასტიკ კანონზომიერებას, ვინაიდან მისი ერთადერთი კანონი უზომო სიყვარულია. გვტანჯავს და გულს გვითუთქავს შენი ყოველი გახსენება, საყვარელო რატი!

აგვისტოში შენი დაბადების დღეს ისევ მოვედით „შენთან" შენი მეგობრები, მოვეფერეთ შენს წმინდა საფლავს...

ალალი იყოს მეგობართა გულები შენთვის, სადაც შენ ჰპოვე საუკუნო განსასვენებელი.

მეგობართა ჯგუფი

თორღვა ბულაშვილი

ამას წინათ თორღვა ბულაშვილის დაბადების დღე იყო. გვინდოდა მოგველოცა მისთვის, მაგრამ რაღაც უსაზღვრო სევდას დაესადგურებინა ჩვენს გულში. თვალცრემლიანი ვუცქერდით ერთმანეთს და თვალს ვერ ვუსწორებდით. გვრცხვენოდა ჩვენივე ცრემლების...

თურმე რამხელა სიყვარულს და ტკივილს ატარებდა გულით. სადაც საქართველოს სტკიოდა იქ იდგა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა, იქ უნდოდა ყოფილიყო. გენი ეძახდა, წინაპართა სისხლი უხმობდა. როდესაც სამაჩაბლო გახდა ჩვენი სატკივარი, პირველსავე დღიდან წავიდა წინაპართა ძირძველი მიწის დასაცავად. შინ კი ფეხმძიმე მეუღლე და პატარა გოგონა ელოდა.

როგორც არავის სცოდნია მოძმის დანდობა. ძმისთვის ხურგში ჩაცემულ ლახვარზე სწყდებოდა გული იმიტომ, რომ თვითონ სხვას არ გაუკეთდება ამგვარ ბოროტებას. მასში ეს არ იყო. მისი სიკვდილი მოულოდნელი და ამაზრზენი იყო ჩვენთვის, ამავე დროს დაუჯერებელი...

თორღვას გარდაცვალების შემდეგ ბიჭი დაიბადა მის ოჯახში, პატარა თორღვა ბულაშვილი, გვარის გამგრძელებელი, რომელიც მამის აუხდენელ სიზმრებს აახდენს და იმავეს გააკეთებს, რასაც ის აკეთებდა. პატარა თორღვას, რომელიც მამის არც სიცოცხლეს შესწრებია და არც სიკვდილი გაუგია, მამის დარად ზრდიან.

ახლახანს 29 წლის გახდებოდა. მაინც ვულოცავთ დაბადების დღეს, რამეთუ ვინც ვიცნობდით, მის სიკვდილს ვერასდროს დავიჯერებთ.

მეგობრები

ალორძინება არგო

გვერდის ხპონსორები არიან ხაქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 180, ტელ: 85-26-44; 84-05-14.

მცირე საწარმო „პროგრესი"-XXI" გთავაზობთ კომფორტული ავტობუსებით გადაყვანას თურქეთში — ტრაპიზონსა და სტამბოლში, მათთვის ვისაც აქვთ კერძო მოწვევები თურქეთის რესპუბლიკიდან.

ჩვენი მომსახურების ხარისხი ბევრად მაღალია, თუმცა ფასი სხვებთან შედარებით ნაკლები.

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №94, ტელ. 29-41-80.
ვმუშაობთ ყოველდღე 11^{00}—19^{00}.

მცირე საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ!

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი" უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის კერძო (საოჯახო), კოოპერატიული, საიჯარო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სხვა ფორმის მცირე საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.

ჩვენი მისამართია: 380007, თბილისი, ლერმონტოვის 18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი".
ტელ: 99-02-76, 93-99-70 12 საათიდან 17 საათამდე.

ვყიდი

ოროთახიან იზოლირებულ ბინას თემქის დასახლებაში, 8-სართულიან ბინაში მე-2 სართულზე. ცნობებისათვის დარეკეთ: 60-25-41 საღამოს საათებში.

ვიქირავებ

ერთოთახიან იზოლირებულ ბინას, ტელეფონით თბილისის ცენტრალურ რაიონებში.
დარეკეთ: 37-06-64
37-58-25.

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა ვოზერია

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.